



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №12/32

2017 წლის 27 აპრილი  
ქალაქი ფოთი

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა, „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება: ა) რაიონების ადმინისტრაციული ცენტრების ამავე რაიონების დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებელი გზები; ბ) დასახლებული პუნქტების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დამაკავშირებელი გზები; გ) რაიონის დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები; დ) განსაკუთრებული მნიშვნელობის კურორტების, დასვენებისა და ტურიზმის ადგილების, სპორტული კომპლექსების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, სამეცნიერო ცენტრებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტების საქართველოს რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრებთან (რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ აღნიშნული ობიექტები) დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე უახლოეს რკინიგზის სადგურებთან, აეროპორტებთან, საზღვაო ნავსადგომებთან მისასვლელელები საერთაშორისო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებიდან.

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტისა და „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 10 ოქტომბრის №220 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას ამტკიცებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე:**

### **მუხლი 1.**

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხა თანახმად დანართი №1-სა.

**მუხლი 2.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

**მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 27 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია